საქართველო. ახმეტის მუნიციპალიტეტის
ს ა კ რ ე ბ უ ლ ო

KA000084106045217

0900 ქ. ახმეტა ჩოლოყაშვილის ქ N49 Tel: +995 349 22 22 99; +995 349 22 15 46
ელ-ფოსტა:akhmeta.sakrebulo@gmail.com

№ 32 19 / მაისი / 2017 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში

განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დამატებით დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების თაობაზე ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეგლის მიერ წარმოდგენილი საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 62-ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის № 23 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2017 წელს დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურები და კრიტერიუმები"-ს მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. მოწონებულ იქნეს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2017 წელს დამატებით დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების თაობაზე ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეგლის მიერ წარმოდგენილი საპროექტო წინადადებები თანდართული სახით.

2. დაევალოს ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგებელს განახორციელოს საპროექტო წინადადებების ინიცირება საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში.

3. განკარგულება გამოქვეყნდეს საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 56-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული წესით და ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

4. განკარგულების გასაჩივრება გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში შეიძლება თელავის რაიონულ სასამართლოში (ქ. თელავი, აღმაშენებლის გამზ. №41).

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

თამარ ყეინიშვილი

ახმეტის მუნიციპალიტეტი		2017 წლის რეგიონული პროექტი			დანართი №2
პროექტის დასახელება	პროექტის სრული ღირებულება (საპროექტო დოკუმენტაციის ღირებულების გარეშე)	მ.შ. მიმდინარე წელს ფონდიდან მოთხოვნილი თანხა	მ.შ.თანადაფინანსება	პროექტის განხორციელების სავარაუდო ვადები	შენიშვნა
ახმეტა-ბაწარის საავტომობილო გზის 22-ე კმ-დან სოფელ მიზახევამდე მისასვლელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია	466 200	466 200	0	01.07.2017 30.11.2017	საპროექტო სამუშაოები შესრულებულია
ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯოყოლოში მდინარე ალაზანზე ნაპირდამცავი ნაგებობის მოწყობა	110 000	110 000	0	15.07.2017 30.10.2017	საპროექტო სამუშაოები შესრულებულია
ახმეტის მუნიციპალიტეტში მდინარე ალაზანზე დუისი-ქვემო ხალაწნის დამაკავშირებელი საცალფეხო ხიდის მოწყობა	200 000	200 000	0	15.07.2017 30.11.2017	საპროექტო სამუშაოები შესრულებულია
სულ:	776 200	776 200			
	ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგებელი:			/ბექა ბაიდაური/	